სსიპ კოლეჯი „მოდუსი“

პროფესიული სტუდენტური კავშირის დებულება

დამტკიცებულია ...მიერ 18/03.2019წ.-გადაწყვეტილებაN..(დანართიN..)

ქვემოთ მოცემული ხელმოწერების ავტორები ადასტურებენ, რომ ნამდვილად ფლობენ დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას, მიღებული აქვთ მონაწილეობა მისი საბოლოო ფორმირების პროცესში და ეთანხმებიან მასში მოცემული პირობების განხორციელებას

შინაარსი

მუხლი1.ზოგადი დებულებები----------3-4

მუხლი2.ტერმინთა განმარტება----------4

მუხლი3.პროფესიული სტუდენტური კავშირის მისია, მიზნები----------5-6

მუხლი4.პროფესიული სტუდენტური კავშირის უფლებამოსილება----------6-7

მუხლი5.პროფესიული სტუდენტური თვითმართველობის სტრუქტურა----------7

მუხლი6.პროფესიული სტუდენტური კავშირის საერთო კრება----------8

მუხლი7.პროფესიული სტუდენტური კავშირის საერთო კრების უფლებამოსილება---------9

მუხლი8.პროფესიული სტუდენტური კავშირის წარმომადგენელობითი საბჭო----------9-10

მუხლი9.პროფესიული სტუდენტური კავშირის წარმომადგენელობითი საბჭოს წევრი----------11-12

მუხლი10.პროფესიული სტუდენტური კავშირის წარმომადგენლის უფლებამოსილება----12

მუხლი11.პროფესიული სტუდენტური კავშირის წარმომადგენლის ვალდებულება-----12-13

მუხლი12.პროფესიული სტუდენტური კავშირის თავმჯდომარე----------13-14

მუხლი13. პროფესიული სტუდენტური კავშირის თავმჯდომარის უფლებამოსილება---14-15

მუხლი14. პროფესიული სტუდენტური კავშირის არჩევნები----------15-16

მუხლი15. პროფესიული სტუდენტური კავშირის არჩევნების კომისი----------

მუხლი16 . პროფესიული სტუდენტური კავშირის ბიუჯეტი----------16

მუხლი17.დასკვნითი დებულებები----------17

მუხლი18.ძალაში შესვლა----------18

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ პროფესიული სტუდენტური კავშირი (შემდგომში - „პროფესიული სტუდენტური კავშირი“) არის „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ წესდების მოთხოვნათა დაცვით, სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ პროფესიული სტუდენტების მიერ საყოველთაო, თანასწორი, გამჭვირვალე, პირდაპირი და ფარული არჩევნების წესით არჩეული კოლეჯის შემადგენლობაში შექმნილი ორგანო, რომელიც წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას ახორციელებს, როგორც კოლეჯის შიგნით, ისე მის გარეთ.

1.2. პროფესიული სტუდენტური კავშირი არის კოლეჯში არსებული დამოუკიდებელი ორგანო, რომლის დებულებაც შესაბამისობაშია კოლეჯის ყველა სხვა რეგულაციასთან.

1.3. პროფესიული სტუდენტური კავშირის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება კოლეჯის წესდებით და წინამდებარე დებულებით.

1.4. პროფესიული სტუდენტური კავშირი ხელს უწყობს, კოლეჯისა და ზოგადად პროფესიული განათლების განვითარების პროცესს.

1.5. პროფესიული სტუდენტური კავშირის საქმიანობა განისაზღვრება წინამდებარე დებულებით.

1.6. პროფესიული სტუდენტური კავშირის ორგანოს, ასევე კოლეჯის საკოორდინაციო საბჭოში წარმომადგენლის არჩევის წესი განისაზღვრება წინამდებარე დებულებით.

1.7. პროფესიული სტუდენტური კავშირი არ წარმოადგენს იურიდიულ პირს.

1.8. პროფესიული სტუდენტური კავშირი არის აპოლიტიკური ორგანო.

1.9. პროფესიული სტუდენტური კავშირი მჭიდროდ თანამშრომლობს კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან და კოლეჯის ადმინისტრაციასთან.

1.10. პროფესიული სტუდენტური კავშირის მიერ კოლეჯში არსებული დებულებებისა და წესების საპირისპირო ქმედების შემთხვევა განხილული იქნება, როგორც დისციპლინური გადაცდომა.

1.11. პროფესიული სტუდენტური კავშირის დაფინანსების წყაროები:

1.11.1 კოლეჯის საკუთარი შემოსავლების წყაროდან გამოყოფილი ფულადი სახსრები;.

1. 11.2 შემოწირულობა;

1.11.3 გრანტი.

1.12. პროფესიული სტუდენტური კავშირის მისამართია: ქალაქი რუსთავი. ჟიული შარტავას ქ.N4 , კოლეჯი „მოდუსი“.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

2.1 კოლეჯი - სსიპ კოლეჯი „მოდუსი“;

2.2 სტუდენტი - პირი, რომელიც, საქართველოს კანონით „პროფესიული განათლების შესახებ“ და კოლეჯის სასწავლო პროცესის რეგულირების წესის შესაბამისად ჩაირიცხა კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად და აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

2.3 პროფესიული სტუდენტური კავშირი - კოლეჯის პროფესიული სტუდენტების დამოუკიდებელი ორგანო;

2.4 მასწავლებელი - სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ პროფესიული განათლების მასწავლებელი;

2.5 თავმჯდომარე - პროფესიული სტუდენტური თვითმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირი.

2.6 **წარმოამდგენლობითი საბჭო** - პროფესიული სტუდენტური კავშირის მმართველი ორგანო.

2.7 **საბჭოს წევრი** - პროფესიული სტუდენტური კავშირის მმართველი ორგანოს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი.

2.8 **კოლეჯის ადმინისტრაცია** - კოლეჯის ყველა რგოლის მმართველობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს კოლეჯის მართვას, ადმინისტრირებას და წარმართავს სასწავლო პროცესს.

მუხლი 3. პროფესიული სტუდენტური კავშირის მისია და მიზნები

პროფესიული სტუდენტური კავშირის მისია

პროფესიული სტუდენტური კავშირის მისიაა, ხელი შეუწყოს კოლეჯის მდგრად განვითარებას, კოლეჯში ხარისხიან და სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. კომპეტენციის ფარგლებში წარმართოს საქმიანობა სტუდენტების ინიციატივებისა და ინტერესების გამოვლენის, მათი უფლებების დაცვის, ინფორმაციის გავრცელების და პროფესიული ცოდნის გაღრმავების მიმართულებით. შემოქმედებითი, სამოქალაქო აქტივობის, კულტურული და სპორტული ღონისძიებების განხორციელების გზით შეძლოს, როგორც ადგილობრივ, ასევე ქვეყნის დონეზე ხელი შეუწყოს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მიმზიდველობის გაზრდას.

პროფესიული სტუდენტური კავშირის მიზნებია:

3.1 უფლებამოსილების ფარგლებში წარმოადგინოს პროფესიული სტუდენტების ინტერესები და ინიციატივები კოლეჯის ადმინისტრაციასთან;

3.2 უფლებამოსილების ფარგლებში დაიცვას პროფესიული სტუდენტების უფლებები;

3.3 ხელი შეუწყოს კოლეჯში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმირებულობას;

3.4 დახმარება გაუწიოს სტუდენტებსა და მასწავლებლებს ხარისხიანი და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვაში.

3.5 განხორციელებული აქტივობების საფუძველზე, შექმნას ოპტიმალური პირობები სტუდენტებისთვის სოციალურ-კულტურული და სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად;

3.6 ხელი შეუწყოს სტუდენტებში ჯანსაღი ცხოვრების დამკვიდრებას;

3.7 ხელი შეუწყოს სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნებას;

3.8 დახმარება გაუწიოს სხვა და სხვა ეროვნების სტუდენტების დაახლოებასა და თანაბარი პირობების დამკვიდრებას;

3.9 ხელი შეუწყოს სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტების ჩართულობას, როგორც აქტივობების დაგეგმვაში ასევე, მათ განხორციელებაში;

3.10 დაამყაროს და გააღრმავოს ურთიერთობები სხვა კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან;

3.11 დაამყაროს ურთიერთობები და დაგეგმოს აქტივობები სკოლის მოსწავლეების ჩართულობით;

3.12 უფლებამოსილების ფარგლებში დაგეგმოს იმგვარი აქტივობები, რომლებიც როგორც ადგილობრივ, ასევე მის გარეთ ხელს შეუწყობს, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მიმზიდველობას.

მუხლი 4. პროფესიული სტუდენტური კავშირი და მისი უფლებამოსილება

4.1. სტუდენტური კავშირი შედგება აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებისგან და კურსდამთავრებულებისგან;

4.2. სტუდენტური კავშირის წევრი შესაძლოა გახდეს კოლეჯის სტუდენტი/კურსდამთავრებული, რომელსაც რეკომენდაციას გაუწევს სტუდკავშირის 2 წევრი სტუდენტი ან/და კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომელი ან/და პროფესიული განათლების მასწავლებელი;

4.3. სტუდენტური კავშირის წევრობაზე გადაწყვეტილებას იღებს სტუდენტური კავშირის თავმჯდომარე;

4.2. პროფესიული სტუდენტური კავშირი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში:

4.2.1. ახდენს კოლეჯში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვრავს მისი გადაჭრის გზებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

4.2.2. იცავს პროფესიული სტუდენტების უფლებებს;

4.2.3. კოპმეტენციისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად, მონაწილეობს კოლეჯის მართვის ორგანოს, საკოორდინააციო საბჭოს და კოლეჯის დისციპლინური კომიტეტის საქმიანობაში;

4.2.4. წელიწადში ერთხელ, კალენდარული წლის დასრულებამდე, წარმოადგენს ანგარიშს, კოლეჯის სასწავლო პროცესსა და მართვაში წარმოქმნილ ხარვეზებზე, მასზე რეაგირებისა და შედეგების შესახებ. ამასთანავე, დაძლეული გამოწვევებისა და წარმატებული მაგალითების თაობაზე.

4.2.5. წელიწადში ორჯერ, მეორე და მეოთხე კვარტლის დასრულებამდე, წარმოადგენს თავისი საქმიანობისა და გატარებული ღონისძიებების ანგარიშს.

4.2.6. წინამდებარე დებულებით განსაზღვრული მისიიდან და მიზნებიდან გამომდინარე აწყობს, სხვა და სხვა სახის შეხვედრებს, მოლაპარაკებებს, პრეზენტაციებს, გასართობ და შემოქმედებით აქტივობებს, სპორტულ შეჯიბრებებს, ექსკურსიებსა, ლაშქრობებს და სხვა სოციალურ-კულტურულ და საქველმოქმედო ღონისძიებებს.

4.2.7. აქტიურად თანამშრომლობს სკოლებთან, კოლეჯში კავშირის არაწევრ პროფესიულ სტუდენტებთან და მათთან ერთად გეგმავს პროფესიული განათლების განვითარებაზე ორიენტირებულ აქტივობებს.

4.2.8. თანამშრომლობს სამთავრობო და არასამთავრობო, სახელმწიფო საზღვრებში და მის გარეთ არსებულ ორგანიზაციებთან.

მუხლი 5. პროფესიული სტუდენტური თვითმართველობის სტრუქტურა

თვითმართველობის მართვის ორგანოებია:

5.1 პროფესიული სტუდენტური კავშირის საერთო კრება;

5.2 პროფესიული სტუდენტური კავშირის წარმომადგენლობითი საბჭო;

5.3 პროფესიული სტუდენტური კავშირის თავმჯდომარე.

მუხლი 6. პროფესიული სტუდენტური კავშირის საერთო კრება

6.1 პროფესიული სტუდენტური კავშირის საერთო კრება წარმოადგენს პროფესიული სტუდენტური კავშირის მართვის უმაღლეს ორგანოს, რომელიც შედგება აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებისგან.

6.2 პროფესიული სტუდენტური კავშირის საერთო კრება ტარდება სასწავლო პროცესის განმავლობაში სამ თვეში ერთხელ მაინც.

6.3 რიგგარეშე საერთო კრება შესაძლებელია, მოიწვიოს თავმჯდომარემ, წარმოამდგენლობითმა საბჭომ და/ან საერთო კრების წარმომადგენლების 1/3 -მა.

6.4 სტუდენტური კავშირის საერთო კრების ჩატარების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ, საერთო კრების წევრებს ეცნობებათ კრების ჩატარებამდე არაუგვიანეს 10 დღით ადრე.

6.5 სტუდენტური კავშირის საერთო კრებას ხელმძღვანელობს კავშირის თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების უმრავლესობის გადაწყვეტილებით არჩეული იმავე საბჭოს ერთი რომელიმე წევრი.

6.6 სტუდენტური კავშირის საერთო კრება გადაწყვეტილებების მიღებისას უფლებამოსილია, როდესაც კრებას ესწრება:

ა)საერთო კრების წევრების ერთი მესამედი და სტუდენტური კავშირის თავმჯდომარე / თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ბ) წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების უბრალო უმრავლესობა.

მუხლი 7. პროფესიული სტუდენტური კავშირის საერთო კრების უფლებამოსილება

სტუდენტური კავშირის საერთო კრება უფლებამოსილია:

7.1 თავმჯდომარის წარდგინებით დაამტკიცოს სტუდენტური კავშირის გრძელვადიანი და მოკლევადიანი სამოქმედო გეგმა.

7.2 თავმჯდომარის წარდგინებით დაამტკიცოს ან/და დააკორექტიროს ბიუჯეტი.

7.3 კოლეჯის დირექტორთან შეთანხმებით შეიტანოს ცვლილებები წინამდებარე დებულებაში.

7.4 გადაწყვიტოს სტუდენტური კავშირის თავმჯდომარის თანამდებობიდან იმპიჩმენტის წესით გათავისუფლების საკითხი.

7.5 კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს დადგენილებები, რომლებსაც ხელს მოაწერს სტუდენტური კავშირის თავმჯდომარე.

7.6 განახორციელოს სხვა უფლებამოსილებები, რომელიც განსაზღვრულია წინამდებარე დებულებით, არ ეწინააღმდეგება მას და მოქმედ კანონმდებლობას.

მუხლი 8. პროფესიული სტუდენტური კავშირის წარმომადგენელობითი საბჭო

8.1 პროფესიული სტუდენტური კავშირის წარმომადგენლობითი საბჭო არის თვითმართველობის მართვის უმაღლესი ორგანო, რომლის შემადგენლობაში არის კოლეჯში განხორციელებული ყოველი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტი და რომლებსაც სტუდენტური კავშირის საერთო კრების წევრები ირჩევენ, 1 წლის ვადით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული არჩევნების წესით.

8.2 პროფესიული სტუდენტური კავშირის წარმომადგენელობითი საბჭო უფლებამოსილია:

ა)განსაზღვროს სტუდენტური კავშირის ძირითადი პრიორიტეტები და ამოცანები;

ბ)წარმართოს თვითმართველობის საქმიანობის ზოგადი პოლიტიკა;

ვ)აირჩიოს სტუდენტური კავშირის თავმჯდომარე;

გ)განიხილოს და დაამტკიცოს სტუდენტური კავშირის საქმიანობისთვის აუცილებელი პროექტები, რომლებიც წარმოდგენილნი იქნებიან საერთო კრებაში შემავალი წევრების მიერ;

დ)იქონიოს მჭიდრო კომუნიკაცია საკუთარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჯგუფის სტუდენტებთან;

ე)შეიმუშაოს წინამდებარე დებულების ცვლილებისა თუ დამატების პროექტი და კავშირის თავმჯდომარესთან და კოლეჯის დირექტორთან შეთანხმებით დასამტკიცებლად წარუდგინოს საერთო კრების წევრებს;

ვ)კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს სხვა უფლებამოსილებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან წინამდებარე დებულებას, კოლეჯში არსებულ ნორმატიულ აქტებსა და მოქმედ კანონმდებლობას.

მუხლი 9. პროფესიული სტუდენტური კავშირის წარმომადგენელობითი საბჭოს წევრი

9.1 პროფესიული სტუდენტური კავშირის წარმომადგენელობითი საბჭოს წევრი არის სტუდენტური კავშირის მმართველი ორგანოს წევრი, რომელიც არჩეულ იქნა წინამდებარე

დოკუმენტით განსაზღვრული პროფესიული სტუდენტური თვითმართველობის არჩევნების შესაბამისად.

9.2 პროფესიული სტუდენტური კავშირის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრად შესაძლებელია, არჩეულ იქნას პროფესიული სტუდენტის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი.

9.3 პროფესიული სტუდენტური კავშირის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი შესაძლებელია, აირჩეს 1 წლის ვადით.

9.4 პროფესიული სტუდენტური კავშირის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის მომენტიდან და ძალაშია თვითმართველობის ახალი წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევამდე.

9.5 პროფესიული სტუდენტური კავშირის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია:

ა)პირადი განცხადება;

ბ)კოლეჯში პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

გ)კოლეჯში თანამდებობაზე დანიშვნა;

დ)წინამდებარე დებულების, კოლეჯში მოქმედი დისციპლინის მარეგულირებელი წესის და/ან ეთიკის კოდექსის უხეში დარღვევა;

ე)არასაპატიო მიზეზით, სტუდენტური კავშირის საქმიანობაში ზედიზედ 3 თვის განმავლობაში მონაწილეობის მიუღებლობა;

ვ)სასამართლოს მიერ ქმედითუუნაროდ, ძებნილად, უგზოუკვლოდ ან გარდაცვლილად გამოცხადება;

ზ)გარდაცვალება.

9.6. წარმომადგენლის ვადაზე ადრე გათავისუფლების შემთხვევაში, მის ადგილს დაიკავებს პირი, რომელმაც თვითმართველობის არჩევნებზე მიიღო გამარჯვებული კანდიდატის შემდეგ ხმათა უბრალო უმრავლესობა და აქვს სტუდენტის აქტიური სტატუსი;

მუხლი 10. პროფესიული სტუდენტური კავშირის წარმომადგენელობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილება

პროფესიული სტუდენტური კავშირის წარმომადგენელობითი საბჭოს წევრი უფლებამოსილია:

10.1 მიიღოს ყველანაირი ინფორმაცია კავშირის სხვა წარმომადგენლების საქმიანობის შესახებ.

10.2 მონაწილეობა მიიღოს სტუდენტური კავშირის თავმჯდომარის არჩევაში.

10.3 გამოიჩინოს ინიციატივა და საკუთარი შეხედულებისამებრ წარმოადგინოს წინადადებები.

10.4 აქტიუარად ჩაერთოს წინამდებარე დებულების 6.2.მუხლით განსაზღვრულ აქტივობებში.

10.5 მონაწილეობა მიიღოს წინამდებარე დებულებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევ სხვა ღონისძიებებში.

მუხლი 11. პროფესიული სტუდენტური კავშირის წარმომადგენელობითი საბჭოს წევრის ვალდებულება

პროფესიული სტუდენტური კავშირის წარმომადგენელობითი საბჭოს წევრი ვალდებულია:

11.1 შეასრულოს წინამდებარე დებულებით მასზე დაკისრებული მოვალეობა.

11.2 მჭიდროდ ითანამშრომლოს და ხელი შეუწყოს მეგობრული და გუნდური გარემოს შექმნას სტუდენტური კავშირის დანარჩენ წარმომადგენლებთან.

11.3 აქტიურად ჩაერთოს წინამდებარე დებულებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევ სხვა და სხვა აქტივობებსა და ღონისძიებებში.

11.4 იზრუნოს კოლეჯის სახელსა და ავტორიტეტზე.

11.5 კომპეტენციის ფარგლებში ითანამშრომლოს კოლეჯის ადმინისტრაციასთან.

11.6 დაესწროს სტუდენტური კავშირის შეკრებებს.

მუხლი 12. პროფესიული სტუდენტური კავშირის თავმჯდომარე

12.1 სტუდენტური კავშირის თავმჯდომარე წარმოადგენს უმაღლესი თანამდებობის პირს, რომელიც ხელმძღვანელობს სტუდენტური კავშირის საერთო კრებას და წარმოადგენს კავშირს მესამე პირებთან ურთიერთობაში.

12.2 სტუდენტური კავშირის თავმჯდომარე წარმოადგენს კავშირს კოლეჯის საკოორდინაციო საბჭოზე და პროფესიული სტუდენტის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის საკითხის განხილვისას კოლეჯის დისციპლინური კომიტეტის სხდომაზე კომიტეტის წევრის სტატუსით.

12.3 სტუდენტური კავშირის თავმჯდომარედ შესაძლებელია, არჩეულ იქნას კოლეჯის ნებისმიერი აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი, რომელიც:

ა)არის ქმედითუნარიანი;

ბ)არ აქვს დაკავებული კოლეჯში ადმინისტრაციული თანამდებობა;

გ) არ არის ნასამართლევი;

დ)მისი სასწავლო შედეგები არის შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებულ სტანდარტთან.

ე)სტუდენტური კავშირის თავმჯდომარე აირჩევა სტუდენტური კავშირის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 1 წლის ვადით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული არჩევნების წესით.

ვ)სტუდენტური კავშირის თავმჯდომარის კანდიდატად დასახელების უფლება აქვს სტუდენტური კავშირის წარმომადგენლობითი საბჭოს ნებისმიერ წევრს.

ზ)თუ კანდიდატებმა მოაგროვეს ხმების თანაბარი რაოდენობა 10 დღის ვადაში ინიშნება მეორე ტური იმ ორი კანდიდატისთვის, რომლებმაც თანაბარი რაოდენობის ხმები დააგროვეს.

მუხლი 13. პროფესიული სტუდენტური კავშირის თავმჯდომარის უფლებამოსილება

13.1 სტუდენტური კავშირის თამჯდომარე უფლებამოსილია, სტუდენტური კავშირის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრს, წინამდებარე დოკუმენტით დადგენილ ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება, როგორც შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, ასევე იმპიჩმენტის წესით.

13.2 სტუდენტური კავშირის თამჯდომარის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ახორციელებს სტუდნტური კავშირის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, ხმათა უბრალო უმრავლესობით არჩეული იმავე საბჭოს წევრი,

13.3 სტუდენტთა დისციპლინური მარეგულირებელი წესის, საქართველოს კანონონმდებლობის უხეში დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტური კავშირის საერთო კრების 2/3-სა და სტუდენტური კავშირის წარმომადგენლობითი საბჭოს უბრალო უმრავლესობას შეუძლია, დააყენოს სტუდენტური კავშირის თამჯდომარის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხი.

13.4 სტუდენტური კავშირის თამჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს სტუდენტური კავშირის წარმომადგენლობით საბჭოს ;

ბ) კოორდინაციას უწევს სტუდენტური კავშირის საერთო კრების მუშაობას;

გ) იწვევს და ხელმძღვანელობს საერთო კრების შეკრებებს;

დ)ხელს აწერს სტუდენტური კავშირის საერთო კრების და წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მიღებულ დადგენილებებს;

ე) წარმოადგენს სტუდენტურ კავშირის მესამე პირებთან ურთიერთობისას;

ვ) არის კოლეჯის საკოორდინაციო საბჭოში სტუდენტთა წარმომადგენლობითი წევრი;

ზ)პროფესიული სტუდენტის მიერ დისციპლინური გადაცდომის საკითხის განხილვისას, წარმოადგენს კავშირს კოლეჯის დისციპლინურ კომიტეტში კომიტეტის წევრის სტატუსით.

თ) ახორციელებს წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ ყველა იმ უფლებამოსილებას და სხვა აქტივოებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება დებულებას და მოქმედ კანონმდებლობას.

მუხლი 14. პროფესიული სტუდენტური კავშირის არჩევნები

14.1 სტუდენტური კავშირის არჩევნები ტარდება წელიწადში ერთხელ, დეკემბერი-იანვრის პერიოდში.

14.2 არჩევნები ტარდება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის გზით კოლეჯის ტერიტორიაზე.

14.3 არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კოლეჯის ყველა აქტიური სტატუსის მქონე პროფესიულ სტუდენტს.

14.4 სტუდენტების მიერ, არჩევნების წესით ხდება სტუდენტური კავშირის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების არჩევა.

14.5 არჩევნები ითვლება ჩატარებულად, თუ მასში მონაწილეობას ღებულობს კოლეჯში არსებული აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების საერთო რაოდენობის 1/3.

14.6 თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან შესაბამისი პროგამის ჯგუფის სტუდენტები ირჩევენ სტუდენტური კავშირის წარმომადგენლობითი საბჭოს 1 წევრს.

14.7 პროფესიული სტუდენტური კავშირის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის დასახელების უფლება აქვს არანაკლებ 2 აქტიური სტატუსის მქონე პროფესიულ სტუდენტს თითოეული პროგრამიდან;

14.8 სტუდენტური კავშირის თავმჯდომარის არჩევა ხდება სტუდენტური კავშირის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების მიერ;

14.9 სტუდენტური კავშირის თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს წარმომადგენლობითი საბჭოს არანაკლებ 3 წევრს.

მუხლი 15. პროფესიული სტუდენტური კავშირის საარჩევნო კომისია

15.1. პროფესიული სტუდენტური კავშირის წარმომადგენლობითი საბჭოსი და პროფესიული სტუდენტური კავშირის თავმჯდომარის არჩევნების ორგანიზების მიზნით, პროფესიული სტუდენტური კავშირის საერთო კრების გადაწყვეტილებით იქმნება საარჩევნო კომისია, რომელიც შედგება სტუდენტური კავშირის წევრებისგან.

15.2. საარჩევნო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს:

ა) წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის კანდიდატი;

ბ)პროფესიული სტუდენტური კავშირის თავმჯდომარეობის კანდიდატი

გ) კოლეჯის თანამშრომელი.

15.3 საარჩევნო კომისიის წევრების რაოდენობა, უფლებამოსილება და საარჩევნო კომისიაში კანდიდატების რეგისტრაციის ვადები განისაზღვრება საერთო კრების დადგენილებით;

მუხლი 16. პროფესიული სტუდენტური კავშირის ბიუჯეტი

16.1 კოლეჯის დირექტორი ყოველი საანგარიშო წლის იანვარში გამოცემს ბრძანებას კავშირის დაფინანსების შესახებ.

16.2 კოლეჯის საკუთარი შემოსავლების წყაროდან გამოყოფილი ფულადი სახსრები:

ა)კოლეჯის დირექტორის გამოცემული ბრძანება დაფინანსების შესახებ;

ბ)შემოწირულობა;

გ)გრანტი.

მუხლი 17. დასკვნითი დებულებები

17.1 ის საკითხები, რომლებიც არ არის დადგენილი წინამდებარე დებულებით, რეგულირდება საქართველოს კანონით „პროფესიული განათლების შესახებ“ და კოლეჯში არსებული დებულებებით.

17.2 წინამდებარე დებულებაში ცვლილება და/ან დამატება ხდება თვითმართველობის საერთო კრების გადაწყვეტილების მიერ.

17.3 გარდამავალ პერიოდში პროფესიული სტუდენტური კავშირის წარმომადგენლობითი საბჭოს და კავშირის თავმჯდომარის არჩევნების ჩატარების და ორგანიზების მიზნით, საარჩევნო კომისიის შემადგენლობა, უფლებამოსილება და კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

17.4 სტუდენტური კავშირის წევრების პირველადი ფორმირების ორგანიზებას ახდენს კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი;